ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაის-გაენათის ეპარქიისათვის“
პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 25 დეკემბრის №245 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,
უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 09 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. გამოცხადდეს ძალადაკარგულად ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქუთაის-გაენათის ეპარქიისათვის” პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის №245 განკარგულება.

მუხლი 2. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს დავით ერემეიშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოსათვის” (ს/კ 204395537) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, კიბულის ქუჩის ბოლო მონაკვეთში მდებარე, მწვანეყვავილას სასაფლაო უბნის ნაწილის, /ფართობით 15,0 კვ.მ; საკადასტრო კოდი №03.03.23.399/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 /ოთხმოცდაცხრამეტი/ წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 3. უსასყიდლო აღნაგობის ფორმით სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებული იქნას წმინდა მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს მშენებლობის მიზნით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით ერემეიშვილმა, უზრუნველყოს უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი